Giorgi Tedoradze 35001013802
Digitally signed by Giorgi Tedoradze
Date: 2022.01.19 17:43:47

შ.პ.ს. „ლუქს ოილი“ -ს

(საიდენთიფიკაციო კოდი 426522523)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს შპს „ლუქს ოილი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაცია ასახულია ეროვნულ ვალუტაში.

საზოგადოებას აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა და მოქმედებს მის შესაბამისად.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „ლუქს ოილი“

ს/კ 426522523

საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ.ვაზიანი

წინამდებარე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს შ.პ.ს. „ლუქს ოილი“-ს საკუთრებას და გარე ორგანიზაციებისთვის გადასაცემად აუცილებელია დირექტორის ნებართვა.

აგრეთვე აღნიშნული პოლიტიკის დუბლირება, გასხვისება, კოპირება ეკრძალება ნებისმიერ პირს შპს „ლუქს ოილთან“ შეთანხმების გარეშე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ლუქს ოილი“

ვამტკიცებ:

დირექტორი:

მ.გიორგაძე

13/01/2020 წ.

1. ზოგადი დებულება

შ.პ.ს. „ლუქს ოილი“ რეგისტრირებულია 2014 წლის 16 იანვარს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. ვაზიანი; საიდენტიფიკაციო კოდი: 426522523;

საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანია:

- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტ–ექსპორტი, ტრანზიტული გადაზიდვები, შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია;
- ყველა სახის სავაჭრო და ბარტერული ოპერაციების განხორციელება;
- კომერციული საქმიანობა;
- სხვადასხვა საქონლის ექსპორტ–იმპორტი;
- სამშენებლო მასალების წარმოება, შემოტანა–რეალიზაცია;
- ავტო–სარემონტო სერვის ცენტრების მოწყობა;
- საზ.კვების ობიექტების, რესტორნების ფუნქციონირება;
- სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის სერვის–ცენტრების მოწყობა–ფუნქციონირება.

  და ასევე საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

მერაბი გიორგაძე (პ/ნ 12001017918), დაბადებული 27.03.1958 წ. მისამართი საქართველო, გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი.

წილი–100%.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჰყავს;

სავაჭრო წარმომადგენლები ან პროკურისტები არ ჰყავს;

ვიდრე წილთა 100 % საზოგადოებაში ეკუთვნის მერაბი გიორგაძეს, საზოგადოების კრების ფუნქციებს იგი ახორციელებს ერთპირობნულად.

საწესდებო კაპიტალი 200,00 (ორასი) ლარი.

 პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხლი 44.) საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს მერაბი გიორგაძე (პ/ნ 12001017918), დაბადებული 27.03.1958 წ. მისამართი საქართველო, გარდაბანი, სოფ. ახალსოფელი.

დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

საზოგადოების ანგარიში გახსნილია: ს.ს. ვი თი ბი ბანკი საქართველო, როგორც ეროვნულ ვალუტაში ასევე უცხოურ ვალუტაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გათვალისწინებით, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და რეგულირების შესახებ“, საქართველოს „საგადასახადო კოდექსი“.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 2020 წლის 13 იანვრიდან და მოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების დირექტორი (ხელმძღვანელი), იგი უზრუნველყოფს აღრიცხვა ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მთავარი ბუღალტერის (ფინანსური მენეჯერის) ყველა მოთხოვნის დროულად შესრულებას.

2. აღრიცხვის შერჩეული წესები და მეთოდები

ფასს–ის ძირითადი დაშვების შესაბამისად შპს „ლუქს ოილი“ –ს ფინანსური ანგარიშგება მზადდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ – სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე.

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად.

შპს „ლუქს ოილის“ ბუღალტრული აღრიცხვა ეფუძნება შემდეგ პრიციპებს:

- **ორმხრივობის პრინციპის** თანახმად, თითოეულ ოპერაციას ორი მხარე აქვს. იგი ერთიდაიგივე ოდენობით იწვევს ცვლილებას საწარმოს აქტივებშიც და მის შესაბამის წყაროებშიც. ამ პრინციპს ემყარება ორმაგი ასახვის მეთოდი და საბალანსო ტოლობა:

Aაქტივები = ვალდებულებები + კაპიტალი.

- **ფულადი შეფასების პრინციპის** თანახმად ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ის აქტივები და ვალდებულებები, მოვლენები და ოპერაციები, რომელთა ფულადი საზომით გამოსახვა, ანუ შეფასებაა შესაძლებელი. სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ყველა ცვლილება, ბუღალტრულ აღრიცხვაში შეფასების ერთიანი, განმაზოგადებელი საზომით უნდა აისახოს. ასეთს ფულადი საზომი წარმოადგენს.

- **საწარმოს მთლიანობის (ავტონომიურობის) პრინციპი** გულისხმობს იმას, რომ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია მხოლოდ სამეურნეო სუბიექტს ეხება და არა მისი დამფუძნებლის ან მესამე მხარის საქმიანობას. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენა მხოლოდ საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული მონაცემების საფუძველზე ხდება.
- **უწყვეტობა,** რომლის დროსაც ჩვეულებრივ, საწარმო განიხილება, როგორც უწყვეტი პროცესი, რაც მისი ფუნქციონირების მომავალში განუსაზღვრელად გაგრძელებას ნიშნავს. იგულისხმება, რომ საწარმოს უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არა აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა. აქედან გამომდინარე, უწყვეტობის პრინციპი დაკავშირებულია ბასს-ის ერთერთ ძირითად დაშვებასთან "ფუნქციონირებადი საწარმო", რომელიც ასევე ნიშნავს საწარმოს საქმიანობის უსასრულოდ გაგრძელებას და რომ მისი შეწყვეტა უახლოეს საპროგნოზო მომავალში (სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში მაინც) მოსალოდნელი არ არის.
- **პირვანდელი ღირებულების პრინციპის** თანახმად, ყველა ხარჯი პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება. აქტივების შეძენაზე გაწეული დანახარჯების ჯამი კი,**თვითღირებულებას** წარმოადგენს.
- **კონსერვატიზმი** – ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ ოპტიმისტურ შეფასებებს.
- **მატერიალურობა (არაარსებითობა)** – ბუღალტრულ აღრიცხვაში მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტი.
- **რეალიზაციის პრინციპი** გულისხმობს, რომ საწარმოს შემოსავლების აღიარება და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა აქტივის მყიდველზე გადაცემის, ან მომსახურების გაწევის მომენტში ხდება. მაშასადამე, საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგები შემოსავლად აღიარდება და ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მყიდველზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული რისკის გადაეცემისას.
- **მყარი ფულადი ერთეულის პრინციპის** არსი მდგომარეობს მასში, რომ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული სხვადასხვა პერიოდის მონაცემები სტაბილურ ვალუტაშია გამოსახული და მაშასადამე, ეს მონაცემები შესადარისია.
- **მუდმივობა** _ გულისხმობს, რომ საწარმოს მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ პრინციპებს, პროცედურებსა და წესებს, მუდმივად მოქმედებს, ე.ი. ვრცელდება ერთი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მეორეზე.
- **საანგარიშგებო პერიოდის პრინციპი** ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის პერიოდულობას გულისხმობს. საწარმოს საქმიანობა გარკვეულ პერიოდებად შეიძლება დაიყოს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდად იწოდება. ჩვეულებრივ, საანგარიშგებო პერიოდი ერთი წელია. ყოველი წლის ბოლოს მზადდება ფინანსური ანგარიშგება, თუმცა, საჭიროების მიხედვით, შეიძლება იგი ნაკლებიც იყოს, მაგალითად კვარტალი, თვე.
- **შესაბამისობა – საანგარიშო პერიოდში ის გასავლები მიიჩნევა ხარჯებად, რომელიც მონაწილეობს ამ პერიოდის შემოსავლების მიღებაში.**

3. ფულადი საშუალებების აღრიცხვა

ნაღდი ფული სალაროში	ეკონომიკური საქმიანობის პროცესში საწარმოს შეიძლება წარმოექმნას ნაღდი ფულის მოხმარების აუცილებლობა. ნაღდი ფულის მოძრაობა ხორციელდება სალაროს მეშვეობით. სალაროდან ნაღდი ფულის გაცემისა და მიღების ოპერაციებს ასრულებს მოლარე.

ნაღდი ფულის მიღება	სალაროში ნაღდი ფულის მიღება ფორმდება „სალაროს შემოსავლის ორდერით“, გაცემა კი – „სალაროს გასავლის ორდერით“. „სალაროს შემოსავლის ორდერი“ ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი ნაწილიორდერია, რომელიც ოპერაციის შესრულების შემდეგ რჩება საწარმოში, ხოლო მეორე – ქვითარი, ეძლევა სალაროში ფულის შემომტან პირს. „სალაროს შემოსავლის ორდერის“ ჩამოსაჭრელ ხაზზე, ქვითრის მოცილებამდე ისმება ორგანიზაციის ბეჭედი . მთავარი ბუღალტერის და მოლარის ხელმოწერილი ქვითარი, ორგანიზაციის ტვიფრის ნაწილით, გაიცემა ფულის შემომტანზე, როგორც ოპერაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. სალაროს შემოსავლის ორდერზე საკმარისია მხოლოდ მოლარის ხელმოწერაც. (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული „მოლარის თანამდებობრივ ინსტრუქცია“–ში).
ნაღდი ფულის გაცემა	სალაროდან ნაღდი ფულის გაცემა „სალაროს გასავლის ორდერით“. „სალაროს გასავლის ორდერზე“ ხელს აწერს საწარმოს ხელმძრვანელი. ხელმოწერა საჭირო არ არის , თუ სალაროს გასავლის ორდერს ერთვის ფულის გაცემაზე ხელმძღვანელის ხელმოწერილი განკარგულება. სალაროს გასავლის ორდერზე ხელს აწერს აგრეთვე ფულის მიმღები პირიც. ფულის მიმღების იდენტიფიცირების მიზნით, მოლარე ვალდებულია მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. კუთვნილი ნაღდი ფული შეიძლება გაიცეს მინდობილობით, რომელიც დაერთვის სალაროს გასავლის ორდერს.
ანგარიშსწორება საკონტროლო–სალარო აპარატით	ნაღდი ფულით ანგარიშსწორება საწარმოში არ ხორციელდება საკონტროლო–სალარო აპარატის მეშვეობით (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). კერძოდ: საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდება პირი მომხმარებელთან ანგარიშსწორების იმ ნაწილში, სადაც: • გამოიყენება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტის დამადასტურებელი, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი; • საქონლის მიწოდებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის გამოიწერება საგადასახადო ანგარიშფაქტურა; საჭიროების შემთხვევაში საწარმოს მთავარ სალაროსთან ერთად, შეიძლება რომ ქონდეს ერთი, რიგ შემთხვევებში კი რამდენიმე საოპერაციო სალარო. სამუშაო დღის ბოლოს, სალარო აპარატის ფისკალური მეხსიერების ამონაწერთან ერთდ, მოლარე–ოპერატორი მთავარ სალაროში აბარებს ნაღდი ფულის დღიურ ამონაგებს და იღებს „სალაროს შემოსავლის ორდერის“ ქვითარს. ანალოგიური ქმედების განხორციელება მოლარე–ოპერატორს შეუძლია საბანკო ანგარიშზე შეტანით.
სალაროს ინვენტარიზაცია	მოლარე არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, რასაც თანამდებობაზე დანიშვნის დროს მოლარე ხელმოწერით ადასტურებს. აქედან გამომდინარე ინვენტარიზაცია ტარდება ხელმძრვანელის გადაწყვეტილებით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მოულოდნელად, მოლარის თანდასწრებით. სრულად უნდა შემოწმდეს ფულის, არსებობის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ფიზიკური ოდენობა და დადგინდეს შესაბამისობა არღიცხვის მონაცემებთან. შედეგები ფორმდება „ინვენტარიზაციის აქტით“. ინვენტარიზაციით შეიძლება გამოვლინდეს დანაკლისი ან ზედმეტობა. დანაკლისი დაეწერება მოლარეს, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ხოლო

	ნაღდი ფულის ზედმეტობა აღიარდება შემოსავალში არასაოპერაციო მოგების სახით.
უნაღდო ანგარიშსწორება	ანგარიშსწორება მხარეთა შორის შეიძლება განხორციელდეს უნაღდოდ, რაც გულისხმობს გადამხდელის ანგარიშიდან ფულის გადარიცხვას მიმღების ანგარიშზე. ეს ოპერაციები ხორციელდება ბანკის მიერ. საბანკო ოპერაციები ცვლიან ნაღდ ფულს ბრუნვაში. საწარმო დამოუკიდებლად ირჩევს ბანკებს საკრედიტო–საანგარიშსწორებო მომსახურეობისთვის და ურთიერთობა ფორმდება ხელშეკრულებით. საწარმო მომსახურე ბანკიდან ღებულობს „ამონაწერს ანგარიშსწორების ანგარიშიდან“. იგი ასახავს ნაშთს ამონაწერის პერიოდის დასაწყისისთვის, ბანკის მიერ განხორციელებულ ჩამოწერებს, ანუ სადებეტო ბრუნვას; ბანკის მიერ განხორციელებულ ჩარიცხვებს და შენატანებს, ანუ საკრედიტო ბრუნვასა და საბოლოო ნაშტს პერიოდის დასასრულისთვის.

4. მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნების წარმოქმნის საფუძვლები და კლასიფიკაცია	ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პერიოდში საზოგადოებას ურთიერთობა წარმოექმნება სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და პირებთან. ეს ურთიერთობა ხორციელდება პროდუქციის (საქონლის) მიწოდების, სამუშაოების შესრულების, მომსახურეობის გაწევის, სესხების გაცემის, გადახდილი ავანსების და სხვა ოპერაციების შედეგად. ნებისმიერი ურთიერთობის წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს მხარეებს შორის დადებული გარიგება (ზეპირი ან წერილობითი ფორმით), სადაც გაითვალისწინება პროდუქციის მიწოდების ან სხვა შესრულებული სამუშაო–მომსახურეობის პირობები. ნებისმიერი ქმედება შეიძლება განხორციელდეს როგორც თანადროული გადახდით, ისე კრედიტით (შემდგომი გადახდის პირობით), როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით, რის შედეგადაც წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება ანუ მოთხოვნა. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში მყიდველი არ იხდის მის ღირებულებას, არამედ ხდება მისი გადავადება. დარიცხვისა და რეალიზაციის პრინციპების შესაბამისად, გაუნაღდებელი მიწოდება და მომსახურეობა აღიარებული უნდა იქნეს არა მხოლოდ დებიტორულ დავალიანებად, არამედ–შემოსავლად. როგორც აღინიშნა, მოთხოვნის წარმოქმნის საფუძვლები სხვადასხვანაირია, ამიტომ ისინი შეიძლება დაჯგუფდეს სავაჭრო, სასესხო, გადახდილი ავანსების და სხვათა სახით. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და მისი ინფორმაციის მომხმარებლისათვის საჭიროა ინფორმაცია დებიტორული დავალიანების სიდიდის შესახებ მთლიანად და ვადებისა და შემადგენლობის მიხედვით. დაფარვის ვადების მიხედვით მოთხოვნა შეიძლება იყოს მოკლევადიანი (მიმდინარე) და გრძელვადიანი. ბასს 1–ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ თანახმად, ბალანსში ცალკ ცალკე უნდა აისახოს ის ერთიანი

	თანხები, რომლებიც მისაღები არიან ბალანსის შედგენის დღიდან ერთ წლამდე ვადაში ან ერთი წლის შემდეგ. მოკლევადიანია მოთხოვნა, თუ მისი დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელს არ აღემატება, ხოლო გრძელვადიანია – როდესაც დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელს აღემატება. ბალანსში გამოყოფილად აისახება გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი. უიმედო და საეჭვო მოთხოვნების აღრიცხვა, საწარმოში განხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

5. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობის (მარაგის) აღრიცხვა

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების არსი და სტრუქტურა	თავისი საქმიანობის პროცესში იყენებს მატერიალურ აქტივს, რომელიც გამოყენების პროცესში იცვლის სახეს ან შინაარსობრივად განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგება. იმის გამო, რომ იგი დროის მოკლე მონაკვეთში ინარჩუნებს თავის სახეს, ან ხანმოკლე პერიოდში არის საწარმოს საკუთრება, აღრიცხვის მიზნით კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე აქტივი. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა აქტივის სახით აღირიცხება მანამ, სანამ ცნობილი არ გახდება მათთან დაკავშირებული შემოსავლების მიღება. შემოსავლის მიღების მომენტამდე სასაქონლო–მატერიალური ფასეულობა აღირიცხება როგორც მარაგი, ამიტომ მარაგი ხშირად ფასეულობის სინონიმად გამოიყენება. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესები დადგენილია ბასს 2-ის მიხედვით. აქტივი, რომელიც თავისი ძირითადი დანიშნულების მიხედვით გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს, თუ მოცემულ კონკრეტულ მომენტში საწარმო სხვა მიზნობრივ დატვირთვას ანიჭებს, მიმდინარე აქტივად განიხილება. მაგალითად, მიწა, შენობა, სატრანსპორტო საშუალება და სხვა მსგავსი აქტივი, რომელიც შეძენილია შემდგომში გაყიდვის მიზნით, წარმოადგენს საქონელს – შესაბამისად სასაქონლო–მატერიალურ მარაგს და არა ძირითად საშუალებას. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების შემადგენლობაში შედის საქონელი, ნედლეული, მასალები და მზა პროდუქცია. გარდა ამისა, იგი მოიცავს საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებს ან ე.წ. დაუმთავრებელ წარმოებას. ბასს 18-ის მიხედვით სასაქონლო–მატერიალურ ფასეულობას მიეკუთვნება ისეთი მომსახურეობის დანახარჯები, რომლიდანაც საწარმოს შემოსავლები ჯერ არ მიუღია.

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების შეფასება	ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების ღირებულების განსაზღვრას, რომლის წინაპირობა მათი სწორი შეფასებაა. ბასს 2 –ის თანახმად, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თავდაპირველი (შეძენის დროს) შეფასება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების ფორმირება იწყება მათი შეძენიდან. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების შეძენას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მომწოდებელსა და მყიდველს სორის დადებული გარიგება, რომელიც ფორმდება კონტრაქტით (ხელშეკრულებით). მასში აისახება მიწოდების ყველა პირობა. შეძენილი სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება დგინდება და შემოსავალში აიღება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. საერთაშორისო სააღრიცხვო პრაქტიკაში სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღრიცხვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ანფარიშ–ფაქტურა, ხოლო საქართველოში საქონლის მიღების ძირითადი დოკუმენტია „სასაქონლო ზედნადები“, რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის (ტვირთის) შეძენა, ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია. მასში ასახულია სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი დღგ–ს და აქციზის ჩათვლით, თანხა და სხვა რეკვიზიტები. ქვეყნის გარედან იმპორტის გზით მიღებული სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების ამსახველ პირველად დოკუმენტებს წარმოადგენს: ანგარიშ–ფაქტურა (INVOICE) , საერთაშორისო რკინიგზის ზედნადები, ავიაზედნადები, კონოსამენტი (ზღვით გადაზიდვის შემთხვევაში), გემის განტვირთვის გენერალური აქტი და სხვა. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე ამ ფასეულობების სათანადო მდგომარეობაში მოყვანისა და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების დანახარჯებს.
სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების	როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო–

თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები.	მატერიალური ფასეულობების შეფასებას. ასევე აუცილებელია მარაგის ზუსტი სიდიდის ცოდნა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირია ფასების ცვლილება, ისე რომ ერთი და იგივე მატერიალური ფასეულობები შეიძლება შეძენილ იქნეს სხვადასხვა ფასებით. მიუხედავად ამისა, გაცილებით ადვილია შეძენილი სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების , ვიდრე დახარჯული ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვა. ხშირად შეუძლებელია განისაზრვროს კონკრეტულად რომელი მატერიალური ფასეულობები იქნა რეალიზებული (დახარჯული) და რომელი დარჩა ნაშთად მარაგის სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს მატერიალური ფასეულობების გასვლის თანმიმდევრობა. სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მან უნდა მოგვცეს უტყუარი ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მარაგად დარჩენილ და რეალიზებულ ფასეულობებს შორის ხარჯების განაწილების შესახებ. საწარმო იყენებს **საშუალო შეწონილი ღირებულების** მეთოდს. **საშუალო შეწონილი ღირებულება** ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი, ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას. მისი გამოთვლის მიზნით, პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის მთლიან თვითღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული სასაქონლომატერიალური ფასეულობების თვითღირებულება და იყოფა მთლიან რაოდენობაზე. რეალიზაციის დროს ხარჯად აღიარდება საქონლის საშუალო ფასი ერთეულისათვის, დარჩენილ ნაშთს დაემატება მომდევნო პერიოდის შესყიდვები და საქონლის თვითღირებულება ახლიდან გაანგარიშდება მომდევნო რეალიზაციამდე. საშუალო შეწონილი ღირებულება გაიანგარიშება მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტისათვის ცალ-ცალკე. საანგარიშგებო წლის ბოლოს მარაგის რაოდენობის გამრავლებით საშუალო შეწონილ ღირებულებაზე, მიიღება მარაგის მთლიანი ღირებულება. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდი ფასების ცვლილების პირობებში განსხვავებულ შედეგს იძლევა.
სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდი	მასალის ოპერატიული კონტროლისა და მართვისათვის საჭიროა მარაგის სიდიდის ცოდნა არა მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, არამედ ნებისმიერი თარიღისათვის. აქედან გამომდინარე, მარაგის აღრიცხვა

	წარმოებს უწყვეტი (მუდმივი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდებით. **აღნიშნულ შემთხვევაში საწარმო მარაგის აღრიცხვას აწარმოებს – უწყვეტი (მუდმივი) აღრიცხვის მეთოდით.** უწყვეტი (მუდმივი) აღრიცხვის მეთოდით მარაგის მოძრაობა, ანუ შესყიდვა და გასვლა (ხარჯვა) აღირიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ამსახველ ანგარიშებზე მუდმივად, ყოველდღიურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აქედან გამომდინარე, მარაგის საბოლოო ნაშთი განისაზღვრება აღრიცხვის მონაცემებით, როგორც თანხობრივად, ისე რაოდენობრივად შემდეგი ფორმულის მეშვეობით: მარაგის საბოლოო ნაშთი = მარაგის საწყისი ნაშთი + შესყიდვები - მარაგის გასვლა(ხარჯვა)
სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია	ცნობილია, რომ მთელი მატერიალური ფასეულობები, რომელიც გააჩნია დაწესებულებას, ორგანიზაციას, უნდა იყოს და არის კიდევაც ასახული ბუღალტრულ დოკუმენტაციაში. მაგრამ თვითონ მატერიალური ფასეულობები, ვინაიდან ისინი გამოიყენება ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ, განიცდიან ცვლილებებს: ფუჭდებიან, მოდიან უვარგისობაში, იკარგებიან და ა.შ. იმისათვის, რომ ბუღალტრულ დოკუმენტაციაში მონაცემები შეესაბამებოდეს მატერიალურ ფასეულობათა რეალურ მდგომარეობას, ორგანიზაცია-დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად ორგანიზაციაში იქმნება სპეციალური კომისია, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად უნდა შედიოდეს მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირი. მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არის ის პირი, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მატერიალურ ფასეულობებზე, მათ შენახვასა და გამოყენებაზე. ორგანიზაციაში შეიძლება იყოს რამდენიმე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი მხოლოდ ნაწილობრივ არიან პასუხისმგებელნი, ისინი უქმნიან პირობებს ბუღალტერიას სწორი მუშაობისათვის. ინვენტარიზაცია, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ ტარდება. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ტარდება რიგგარეშე ინვენტარიზაცია, ასეთებია, მაგალითად: მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლა, სტიქიური უბედურება, ხანძარი, ქურდობა და ა.შ. ინვენტარიზაციას ატარებს სპეციალურად შექმნილი კომისია.
სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების გადაფასება	მარაგის ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია მათი გადაფასება. გადაფასების შედეგი მოგება ან ზარალი აისახება მარაგის კორექტირების ანგარიშზე. მარაგის გადაფასება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად მარაგის თითოეული ერთეულისათვის, ჯგუფურად-მარაგის სახეების ან მთლიანად მარაგის საერთო

	რაოდენობის მიხედვით. უმჯობესია გადაფასება მოხდეს მარაგის თითოეული ერთეულის მიხედვით.

6. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება.	ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებების აღრიცხვას არეგულირებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“. სტანდარტის შესაბამისად, ძირითადი საშუალებები არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოადგენს ფირმის ქონებას და გამოიყენება საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. როგორც უკვე ვიცით, ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შედიდ: მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობები, ნაგებობები, მანქანა/დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები. სტანდარტი ძირითად საშუალებად აღიარებს ისეთ გრძელვადიან მატერიალურ აქტივებს, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებენ აღიარების შემდეგ კრიტერიუმებს: • მათი გამოყენებით მოსალოდნელია, რომ ფირმა მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; • ფირმას შეუძლია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. აღიარება ნიშნავს ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში მის აღრიცხვას კონკრეტულ ანგარიშებზე. დროის მონაკვეთი, რომელშიც ძირითად საშუალებებს შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ეწოდება. სტანდარტით, ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი, მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღიარდება ცალ-ცალკე. მიწას შეუზღუდავი მომსახურების ვადა აქვს, ხოლო შენობებს-შეზღუდული მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შედის: • მისი შესყიდვის ფასი, საბაჟო და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე; • ტრანსპორტირებისა და მონტაჟის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; • აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები თავდაპირველი შეფასებით

	(დისკონტირებული ღირებულებით), რის ვალდებულებასაც ფირმა იღებს შეძენის მომენტში, ან შემდგომ.
ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა.	ძირითადი საშუალებების შეძენა დასტურდება ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების, შესყიდვის აქტის საფუძველზე და ფორმდება „ძირითადი საშუალებების მიღება-ჩაბარების აქტით“, რომელშიც მითითებულია აქტივის ღირებულება და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, ძირითადი საშუალება არის დამოუკიდებელი სააღღიცხვო ერთეული, ანუ საინვენტარო ობიექტი, რომელსაც მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. საინვენტარო ობიექტზე იზსნება საინვენტარო ბარათი, სადაც მითითებულია: • ობიექტის დასახელება ტექნიკური მახასიათებლების ჩვენებით; • მწარმოებლის დასახელება; • წარმოების წელი; • საქარხნო ნომერი; • ცვეთის ნორმა; • ადგილმდებარეობა; • შენახვაზე პასუხიმგებელი პირი. ძირითადი საშუალებების მიღების გზები: შეძენა ნაღდი ფულით შეძენა კრედიტით წარმოება საკუთარი ძალებით შეძენა სხვა აქტივებზე გაცვლით მიღება უსასყიდლოდ (ჩუქება, გრანტი). შეძენის გზის მიუხედავად ძირითადი საშუალებების თავდაპირველი შეფასება ხდება თვითღირებულებით.
ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა.	ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ფირმა ამჟამად მიიღებდა მისი რეალიზაციიდან, რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით ე. ი. ნარჩენ ღირებულებას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის გაანგარიშებისას უნდა აისახოს აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი. საწარმო ახორციელებს ცვეთის დარიცხვას წრფივი მეთოდით და იყენებს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლს. ცვეთის დარიცხვის წრფივი, ანუ თანაბარზომიერი მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში მეტნაკლებად თანაბარი ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ. ამ მეთოდის გამოყენებისას ყოველწლიური ცვეთის თანხა გაიანგარიშება ფორმულით: $\frac{\text{წლიური ცვეთის თანხა = თვითღირებულება–ნარჩენი ღირებულება}}{\text{სასარგებლო მომსახურების ვადა}}$
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა	ძირითადი საშუალებების შეძენის შემდეგ იწყება მათი გამოყენება, ანუ ექსპლუატაცია, რისთვისაც საჭიროა მათი მოვლა, შენახვა, დაზიანებული ნაწილების შეცვლა და ა.შ. მუშა მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

	• ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები • ჩაირთვება აქტივის თვითღირებულებაში (კაპიტალიზდება), თუ ისინი აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს • აღიარდება პერიოდის ხარჯად, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. სტანდარტის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება პერიოდის ხარჯად და აისახება, როგორც „რემონტი და მომსახურება“, ხოლო ძირითად საშუალებებში გაფუჭებული ან ამორტიზირებული ნაწილების შეცვლა გულისხმობს აქტივის საბალანსო ღირებულებაში მათი ღირებულების ჩართვას (კაპიტალიზება), ხოლო შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარების შეწყვეტას. ასევე საწარმო იყენებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სარემონტო ხარჯების გამოქვითვის 115-ე მუხლს.
ძირითადი საშუალებების გადაფასების აღრიცხვა.	როგორც ვიცით, ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ფირმა სააღრიცხვო პოლიტიკით ირჩევს ძირითადი საშუალებების შეფასების ორი მოდელიდან ერთ-ერთს. ძირითადი საშუალებების შეფასების მოდელები: • თვითღირებულების მოდელი • გადაფასების მოდელი საწარმო იყენებს გადაფასების მოდელს: გადაფასების მოდელის მიხედვით თუ აქტივის რეალური ღირებულება სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლება უნდა მოხდეს მისი ყოველწლიური გადაფასება, ხოლო სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის საკმარისია 3-5 წელიწადში ერთხელ გადაფასების ჩატარება. გადაფასების მეთოდები: • პროპორციული/ინდექსაციის მეთოდი • ელიმინირების (იგნორირების) მეთოდი გადაფასების ორივე მეთოდის გამოყენების დროს მიიღება ერთნაირი შედეგი.
ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა.	ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება: • გაყიდვის შემთხვევაში; • ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი არც გაყიდვიდან, არც გამოყენებიდან. ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის გზები • გაყიდვა • უსასყიდლოდ გადაცემა • ლიკვიდაცია • დემონტაჟი.

7. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების ცნება, კლასები, აღიარება და შეფასება.	ბასს 38 თანახმად, არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცერებადი არაფულადი აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში შედის: • ლიცენზია და ფრანშიზი; • კონცესია; • პატენტები, საავტორო და სხვა უფლებები; • გუდვილი; • კომპიუტერული პროგრამები; • სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები; • რეცეპტები (ფორმულები, ტექნოლოგიები, პროექტები); • საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები; • სხვა არამატერიალური აქტივები. აქტივი აღიარდება არამატერიალურ აქტივად, თუ ის აკმაყოფილებს იდენტიფიცირებადობისა და აღიარების კრიტერიუმებს. აღიარების კრიტერიუმებია: • აქტივზე მოსალოდნელია მიკუთვნებადი ეკონომიკური სარგებლის ფირმაში შემოსვლა; • შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედო შეფასება. აქტივი არის იდენტიფიცირებადი, თუ: • განცალკევებადია, ე.ი. შეიძლება მისი გამოყოფა ფირმიდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვლა; • წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით. აღიარებული არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის თვითღირებულებაში შედის: შესყიდვის ფასი, იმპორტის მოსაკრებელი, შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადები შეღავათისა და ფასდათმობის გამოკლებით, აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეული პირდაპირი დანახარჯები.
არამატერიალური აქტივების მიღების აღრიცხვა.	არამატერიალური აქტივების მიღების აღსარიცხავად გამოიყენება 2500 „არამატერიალრუი აქტივები“ ჯგუფის ანგარიშები. მიღება შეიძლება განხორციელდეს: • ცალკე შეძენით; • გრანტით; • გაცვლით; • შეძენით, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი; • საკუთარი ძალებით წარმოებით. **ცალკე შეძენილი** არამატერიალური აქტივის შესყიდვისათვის გადახდილი თანხა არის ამ აქტივის რეალური ღირებულება. ამ ღირებულებას დამატებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეული პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს მის თვითღირებულებას. **მიღება გრანტით.** სახელმწიფო გრანტით მიღებული არამატერიალური აქტივი (საჰაერო გადაზიდვების განხორციელების ლიცენზია, მაუწყებლობის ლიცენზია და სხვა) აღიარდება რეალური ღირებულებით ან აქტივის ნომინალურ ღირებულებას დამატებული ნებისმიერი დანახარჯი. **მიღება გაცვლით.** გაცვლის ოპერაციები აღირიცხება იმის შესაბამისად აქვს თუ არა ოპერაციას კომერციული ან არაკომერციული ხასიათი. ოპერაციების ასახვა ხდება ძირითადი საშუალებების გაცვლის ოპერაციების მსგავსად. **შეძენა, როგორც საწარმოს გაერთიანების ნაწილი.** ფირმების გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულების

	გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. საწარმოთა გაერთიანების შედეგში იგულისხმება, რომ მყიდველი საწარმო იძენს სხვა საწარმოების კონტროლის უფლებას კეთილი ნების საფუძვეკზე (goodwill). ფასს 3 თანახმად გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ნამეტი თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა ღირებულებაში. გუდვილი = საწარმოს შეძენის ღირებულება - შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება. **არამატერიალური აქტივის წარმოქმნა შესაძლებელია ფირმაშიც.** იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ფირმაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის აღიარება, უნდა მოხდეს აქტივის წარმოქმნის პროცესის კლასიფიცირება: • სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზად; • საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზად. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო არის ორგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რათა განხორციელდეს ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მიღება. სამეცნიერო კვლევით სამუშაოზე გაწეული დანახარჯები გაწევისთანავე აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს ფაზაზე სამეცნიერო კვლევის სამუშაოზე დაყრდნობით ხდება არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემების წარმოების დაგეგმვა, პროგნოზირება და საცდელი ნიმუშების დამზადება-ტესტირება.
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღრიცხვა.	არამატერიალურ აქტივებს, როგორც ფიზიკური ფორმის არმქონე გრძელვადიან აქტივებს ერიცხება ამორტიზაცია, თუ აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება (სამაუწყებლო ლიცენზია, საჰაერო გადაზიდვების უფლება, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი და სხვა.) არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღირიცხება 2600 „არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია“ ჯგუფის ანგარიშებზე. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, იშვიათად წლების ციფრთა ჯამის მეთოდით. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომელსაც მიეკუთვნება გუდვილი, ამორტიზების ნაცვლად უტარდებათ ტესტირება გაუფასურებაზე ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.
არამატერიალური აქტივების გადაფასების აღრიცხვა.	არამატერიალური აქტივების გადაფასება ხდება ძირითადი საშუალებების გადაფასების მსგავსად თვითღირებულების და გადაფასების მოდელის შესაბამისად. ფირმა სააღრიცხვო პოლიტიკით ირჩევს გადაფასების მოდელს. თვითღირებულების მოდელის არჩევისას არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარების შემდეგ აისახება

	თვითღირებულებით, რომელსაც უნდა გამოკალდეს აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის სიდიდეები. საზოგადოება იყენებს იდენტურ მეთოდოლოგიას, როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებისას. გადაფასების მოდელი გულისხმობს ორი მეთოდის გამოყენებას: პროპორციული და ელიმინირების მეთოდებს.
არამატერიალური აქტივების გასვლის აღრიცხვა.	არამატერიალური აქტივების აღიარება უნდა შეწყდეს: • მისი გასვლისა; ან • როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად. აქტივის გასვლის გზებია: • გაყიდვა; • ფინანსური იჯარა; • უსასყიდლოდ გადაცემა.

8. ვალდებულებების აღრიცხვა

ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია.	ვალდებულება არის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა წარმოქმნილი წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, რაც მოითხოვს ფირმის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ფირმიდან გასვლას. ე. ი. ვალდებულება არის სავაჭრო, სასესხო და საგადასახადო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალი, რომელიც მომავალში უნდა დაიფაროს. სტანდარტის მიხედვით ბუღალტრულ ბალანსში ვალდებულებების ასახვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას და შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება-განსაზღვრა. მოკლევადიანი ვალდებულება ბალანსში ფასდება რეალური (საკომპენსაციო) ღირებულებით, ხოლო გრძელვადიანი სესხები და ანარიცხები დისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულებების კლასიფიკაცია: შინაარსისა და წარმოქმნის მიხედვით: • კრედიტორული დავალიანება • სასესხო და სათამასუქო • საგადასახადო • დარიცხული შეფასების მიხედვით: • ფაქტიური • შეფასებითი • პირობითი დაფარვის ვადების მიხედვით: • გრძელვადიანი

	• მოკლევადიანი
მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა.	როგორც აღინიშნა , მოკლევადიანია ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელს არ აღემატება ან მოსალოდნელია მისი დაფარვა ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში. მოკლევადიანი ვალდებულებების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმის შესაბამისად გამოიყენება შემდეგი ანგარიშები: 3100 - მოკლევადიანი ვალდებულებები; 3200 - მოკლევადიანი სესხები; 3300 - საგადასახადო ვალდებულებები; 3400 - დარიცხული ვალდებულებები.
გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა.	გრძელვადიანია ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენის დღიდან ერთ წელს ან ერთ საწარმოო ციკლს აღემატება. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა ძირითად თანხასთან ერთად პროცენტის გადახდა. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები აღირიცხება 4100 ჯგუფის ანგარიშებზე.

9. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა	საკუთარი კაპიტალი საწარმოს აქტივების ის ნაწილია, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. საკუთარი კაპიტალი ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ავანსირებული (გადახდილი, ინვესტირებული) და რეინვესტირებული, რომელიც მიიღება შემდგომი საქმიანობის შედეგად. მისი შემადგენლობა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმასა და საქმიანობის სფეროზე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა (შპს) და სააქციო საზოგადოებაში საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და რეზერვებისაგან. საწესდებო კაპიტალი, როგორც წესი წარმოადგენს დამფუძნებელთა შენატანებს, ხოლო რეზერვები იქმნება შემდგომი წარმატებული საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან. რეზერვის შქმნა ზოგჯერ წესდებით მოითხოვება მესაკუთრეთა ზარალისაგან დაცვის მიზნით. ასევე რეზერვი შიძლება წარმოიქმნას ძირითადი საშუალებებისა და აქციების აფასების შედეგად (ფასის მომატების შემთხვევაში).
შპს–ს საკუთარი კაპიტალი	ფულადი ან ქონებრივი შენატანები შ.პ.ს-ში წარმოადგენს კაპიტალს და ის ასახულია საზოგადოების წესდებაში. კაპიტალში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში. თუ ხდება წილების შეცვლა, რითაც კაპიტალის სიდიდე არ იცვლება, ეს უნდა დარეგისტრირდეს წესდებაში და ბუღალტრულად ასახვას არ ექვემდებარება. პარტნიორის გასვლის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის სიდიდის შემცირება, რაც აუცილებლად უნდა აისახოს ბუღალტრულად. კაპიტალის გაზრდა შეიძლება მოხდეს ახალი მეწილის მიღებით, დამატებითი შენატანებით

10. ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების არსი, მნიშნელობა, კომპონენტები, ელემენტები და მათი შეფასება	ზოგადად, ანგარიშგება ასახავს ფირმის ფუნქციონირების სხვადასხვა მხარეს და ემყარება სამეურნეო აღრიცხვის ურთიერთდამოკიდებულ სახეებს. იგი იყოფა ოპერატიულ, ბუღალტრულ, საგადასახადო და სტატისტიკურ ანგარიშგებად. ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა ხდება ოპერატიული, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე და აქედან გამომდინარე, მთლიანად მოიცავს ფირმის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. ფირმის საინფორმაციო სისტემის მნიშვენლოვანი ნაწილი ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც არის საფუძველი ფირმის ეკონომიკური რესურსების შეფასებისა და ანალიზისათვის, შემოსავლების, ხარჯების და მოსალოდნელი რისკების პროგნოზირებისათვის. ფინანსური ანგარიშგების ფორმირების ძირითადი პრინციპები განისაზღვრება „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლებით“ და ბასს 1-ით „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფინანსური ანგარიშგება არის ფირმის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანია ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო ფენებისათვის ფირმის ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, რაც მათ დაეხმარება სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებაში. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იყოფა ორ ჯგუფად: შიდა და გარე მომხმარებლები. შიდა მომხმარებლები უშუალოდ არიან დაინტერესებული ფირმის საქმიანობით. გარე მომხმარებლები არ არიან უშუალოდ დაინტერესებული ფირმის საქმიანობით, მაგრამ მათთვის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია აუცილებელია, რათა დაიცვან შიდა მომხმარებლების ინტერესები. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს მიეკუთვნება: • ბუღალტრული ბალანსი, ანუ ანაგრიშგება ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ; • მოგება/ზარალის ანგარიშგება, ანუ ანგარიშგება ფირმის სრული შემოსავლების შესახებ; • ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება; • კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება; • განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ არის განხილული ფირმის სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშნელოვანი და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს მიეკუთვნება: • აქტივები; • ვალდებულებები; • საკუთარი კაპიტალი; • შემოსავლები; • ხარჯები.
ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები	ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს მიეკითვნება: • აღქმადობა; • შესაბამისობა;

	• საიმედოობა; • შესადარისობა. **აღქმადობა** ფინანსური ანგარიშგების ძირითადი თვისებაა. მასში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები მომხმარებლისათვის, რომელსაც გარკვეული ცოდნა გააჩნია ბიზნესსა და ბუღალტრულ აღრიცხვაში. **შესაბამისობა** განსაზღვრავს ინფორმაციის სარგებლიანობას, რის საფუძველზეც ამ ინფორმაციის მომხმარებელი სწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია არსებით ხასიათს უნდა ატარებდეს. არსებითია ინფორმაცია, რომლის გამოტოვება ან დამახინჯება არ შეიძლება. **საიმედოობა** ნიშნავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არ შეიცავს არსებით შეცდომებს და არ არის ტენდენციური. ე. ი. ამ ინფორმაციაზე შეიძლება დაყრდნობა, ვინაიდან ის სრულად და მიუკერძოებლად ასახავს რეალურ სურათს. საიმედოობაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: • სამართლიანი წარდგენა; • ეკონომიკური შინაარსის უპირატესობა ფორმასთან შედარებით; • ნეიტრალობა; • წინდახედულობა; • სისრულე; • დროულობა. **ფინანსური ანგარიშგების მეოთხე ხარისხობრივი მახასიათებელია შესადარისობა**, რომელიც იძლევა საშუალებას სხვადასხვა ფირმების ან ერთი და იგივე საწარმოს სხვადასხვა პერიოდის საქმიანობის და მისი შედეგების შედარება მოხდეს. ინფორმაციის შესადარისობა სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირების საფუძველია.
საცდელი ბალანსის არსი, მნიშნელობა	მთავარი ბუღალტრული წიგნის (რეგისტრის) ანგარიშებზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე მზადდება თავდაპირველი საცდელი ბალანსი, რომელშიც თავსდება ინფორმაცია თანხების კორექტირებამდე და ანგარიშების დახურვამდე. საცდელი ბალანსი არის მთავარ ბუღალტრულ წიგნში (რეგისტრში) გახსნილი ანგარიშების ნაშთების არასისტემატიზირებული ჩამონათვალი, ანუ მემორანდუმი. ანგარიშები, რომლებსაც აქვთ ნულოვანი სალდო, საცდელ ბალანსში არ შეიტანება. საცდელი ბალანსის მიზანია ორადი ჩაწერის სისწორის შემოწმება. იგი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პირველ ნაბიჯს. საცდელი ბალანსის დებეტისა და კრედიტის ნაშთების ტოლობა მეტყველებს ბუღალტრულ ანგარიშებზე წარმოებული ჩანაწერების სისწორეზე. თუმცა, ნაშთების ტოლობა ყოველთვის არ ნიშნავს აღრიცხვის უტყუარობასა და სამეურნეო ფაქტის სწორად ასახვას ჩანაწერებში დაშვებული შეცდომების გამო. მაგალითად, ოპერაციის ამსახველი ბუღალტრული მუხლის გამოტოვება, მუხლში არასწორი თანხის მითითება, ოპერაციის სხვა ანგარიშზე ჩაწერა, საპირისპირო ბუღალტრული გატარების შედგენა, ანუ დებეტის ნაცვლად კრედიტში და პირიქით ჩანაწერის გაკეთება. საცდელი ბალანსის საფუძველზე მზადდება ფინანსური ანგარიშგება, ამიტომ საცდელი ბალანსი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტს არ წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ურთულესი პროცესია და მოითხოვს დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებას სააღრიცხვო ციკლის ფაზებზე. ამ ინფორმაციის თავმოყრა და ფინანსური ანგარიშგებისათვის მომზადება ხდება ბუღალტრული გაფორმების დოკუმენტში, რომელსაც სამუშაო ფურცელი ეწოდება. სამუშაო ფურცლიდან აღებული მონაცემებით მზადდება

	მოგება/ზარალის ანგარიშგება, ანგარიშგება საკუთარი კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ბუღალტრული ბალანსი.
სრული შემოსავლების, ანუ მოგება/ ზარალის ანგარიშგება.	ფირმის შემოსავლები და ხარჯები საბოლოოდ აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რომლის შედგენაც შესაძლებელია ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური ნიშნის მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით.
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.	საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ასახავს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა წილებში მომხდარ ყველანაირ ცვლილებას, ანუ წმინდა აქტივების სიდიდეს, რომელიც რჩება ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ.
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	ფულადი სახსრების ნაკადი ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსავალსა და გასავალს. ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე. ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებრივ გადაიცვლებიან ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა (აქციები, ობლიგაციები და სხვა). ფულადი სახსრების ნაკადი შეიძლება წარმოიშვას საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: ფულადი სახსრების მიღება საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან, მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები, როიალტების, ჰონორარების, საკომისიო გადასახდელების სახით მიღებული ფულადი სახსრები, თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა, გადახდილი პროცენტები და დივიდენდები. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, კაპიტალიზებული დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებებზე, აქციების შესაძენად გადახდილი, ავანსად და სესხების სახით სხვა პირებზე გაცემიდან მიღებული ფული, მიღებული პროცენტები და დივიდენდები. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: აქციების, ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, აქციების გამოსასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები, თამასუქის, სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები, ფინანსური იჯარის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები. საოპერაციო, ანუ ძირითადი საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ბასს 7ის თანახმად, საწარმოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეადგინონ პირდაპირი მეთოდით, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ამ მეთოდზე დაყრდნობით, ფულადი სახსრების მოძრაობის გამოთვლა შესაძლებელია ბალანსის და მ/ზ ანგარიშგების მონაცემებით და მაკონტროლებელი ანგარიშების შექმნით გაყიდვების, შესყიდვების და გადასახდელი ხელფასების მუხლებისათვის. გარდა ამისა,

	გასათვალისწინებელია მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, არაფულადი მუხლები და სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021

შინაარსი:

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა 3
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები 3
3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა 4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ 4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები 5
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ 5
7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები.....5-6

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს „ლუქს ოილი“ (შემდგომში „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. რეგისტრირებულია 2014 წლის 16 იანვარს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების საცალო და საბითუმო რეალიზაცია. კომპანია ამ ეტაპზე არის ინდუსტრიის ერთ-ერთი საშუალო სიდიდის მოთამაშე მომართულია ქსელის კიდევ უფრო გადიდებისკენ. კომპანიაში დასაქმებულია 21 ადამიანი.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის გეგმებშია ქსელის მოდერნიზაცია და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. კომპანია ასევე აქტიურად გეგმავს განავითაროს. ასევე გეგმავს საკუთარი ქონების შეძენას და მათ მართვაში მოყვანას. მუდმივ ძიებაშია საწვავის იმპორტისას გავიდეს ისეთ ქსელებზე, რათა კიდევ უფრო იაფი და ხელმისაწვდომი გახდეს მომხმარებლისთვის.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ნაკლები ფინანსური დანახარჯებით უფრო მეტი შედეგის მიღებას.

კომპანია გეგმავს საბარათე სისტემის შემოღებას, ასევე მობილური და ვებ აპლიკაციის შექმნას კლიენტებისთვის, სადაც კლიენტი თვითონ განაგებს უკვე შეძენილი პროდუქტის გადანაწილებას თავის ვირტუალურ კაბინეტში შვილობილ ბარათებზე, შესაბამისად, აკონტროლებს საკუთარ ნაშთებსაც.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ამ ეტაპზე ფილიალები არ გააჩნია.

5. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

(ქართულ ლარში)

2020 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	საოპერაციო მოგება/ზარალი
21	113,849,229	16,651,625	8,686,333
2021 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	საოპერაციო მოგება/ზარალი
21	179,264,161	25,236,102	11,357,980

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

კომპანიას საკუთარი აქციები არ გააჩნია.

7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები

კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი რისკია ლარის კურსის ფლუქტუაცია დოლართან მიმართებაში, ვინაიდან კომპანია საქონელს ყიდულობს იმპორტიორი კომპანიებისგან რომლებიც დამოკიდებული არიან საერთაშორისო საწვავის ფასზე, რომელიც ფიქსირდება დოლარში, ხოლო შესყიდვა ლარში. ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული და არაბრენდული ქსელები. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების სეგმენტში არაბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შასაბამისად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, რომელიც

რეგულარულად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგიერებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლითვის მისაღები და სასურველი იყოს პროდუქტების შეძენა. საწვავის გაფრქვევის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით ნავთობ ბაზაზე წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტიური გაფრქვევების მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით.

დირექტორი: მ.გიორგაძე

თარიღი: 17.01. 2022

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2021**	**31/12/2020**	**31/12/2019**
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7001235	1000739	5532999
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები	0	0	0
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0	0	0
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
წარმოებული ფინანსური აქტივები	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0	0	0
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	2418817	878491	1297586
გაცემული სესხები	0	0	0
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	0	0	0
მოკლევადიანი მარაგები	11058855	11022711	4975127
გრძელვადიანი მარაგები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4757195	3749684	4279549
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	0	0	0
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	0	0	0
საიჯარო მოთხოვნები	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	0	0	0
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივები	0	0	0
სხვა საგადასახადო აქტივი	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	0	0	0

სულ აქტივები	25236102	16651625	16085261
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0	0	0
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0	0
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	6190842	826292	2008030
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	0	0
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7582815	7139000	5600000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	104465	0	184628
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0	0
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სუბორდინირებული სესხი	0	0	0
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	13878122	7965292	7792658
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	0	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	0	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11357980	8686333	8292603
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	11357980	8686333	8292603

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	25236102	16651625	16085261
სულ მოკლევადიანი აქტივები	25236102	16651625	16085261
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13878122	7965292	7792658

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2021**	**31/12/2020**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6000496	-4532260
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6000496	-4532260
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1000739	5532999
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7001235	1000739

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**	**31/12/2020**
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	179264161	113849229
გაყიდვების თვითღირებულება	-171816773	-108735757
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	0	0
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0	0
საერთო მოგება	7447388	5113472
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-561869	-477224
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0	0
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	0	0
საკონსულტაციო ხარჯი	0	0
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	0	0
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0	0
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	0	0
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	0	0
იჯარის ხარჯი	-478813	-103226
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1546856	-769207
საოპერაციო მოგება	4859850	3763815
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
გაცემულ სესხებზე	0	0
სავაჭრო მოთხოვნებზე	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა ფინანსურ აქტივებზე	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	0	0
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	0	0
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან	0	0
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება სხვა აქტივებზე	0	0
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
სხვა ფინანსური შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4859850	3763815
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	4859850	3763815
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	4859850	3763815
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწ		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან	0	0
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალ	0	0
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი	0	0
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:		
უცხოურ ქვედანაყოფებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები	0	0

წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში	0	0
სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლებით)	0	0
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასა	0	0
წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4859850	3763815
საბაზისო მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
გაზავებული მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0

	კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში	საემისიო კაპიტალი	გამოსყიდული საკუთარი აქციები	ივი გადახდის რეზერვი	ებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების	დი საშუალებების გადაფასების	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2019	0	0	0	0	0	0	8292603	0	8292603
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2019	0	0	0	0	0	0	8292603	0	8292603
მოგება / (ზარალი)	0	0	0	0	0	0	3763815	0	3763815
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	0	0	0	0	0	0	0	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	0	0	0	0	3763815	0	3763815
ახალი აქციების გამოშვება	0	0	0	0	0	0	0	0	0
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი	0	0	0	0	0	0	0	0	0
წილობრივი გადახდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
შესყიდვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
საწარმოთა გაერთიანება	0	0	0	0	0	0	0	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება	0	0	0	0	0	0	0	0	0
დივიდენდის გამოცხადება	0	0	0	0	0	0	-3370024	0	-3370024
სხვა	0	0	0	0	0	0	-61	0	-61
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	0	0	0	0	0	0	8686333	0	8686333
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის - 01/01/2021	0	0	0	0	0	0	8686333	0	8686333
მოგება / (ზარალი)	0	0	0	0	0	0	4859850	0	4859850
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)	0	0	0	0	0	0	0	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	0	0	0	0	4859850	0	4859850
ახალი აქციების გამოშვება	0	0	0	0	0	0	0	0	0
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი	0	0	0	0	0	0	0	0	0

წილობრივი გადახდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
შესყიდვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
გაყიდვა	0	0	0	0	0	0	0	0	0
საწარმოთა გაერთიანება	0	0	0	0	0	0	0	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება	0	0	0	0	0	0	0	0	0
დივიდენდის გამოცხადება	0	0	0	0	0	0	-1490712	0	-1490712
სხვა	0	0	0	0	0	0	-697491	0	-697491
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2021	0	0	0	0	0	0	11357980	0	11357980

შ.პ.ს. აუდიტ
LTD AUDIT
3700 რუსთავი, რუსთაველის 28
მობ: (599) 41-73-30

ექსპერტი
EXPERT
3700 Rustaveli str. 28Rustavi
Mob: 599) 41-73-30

დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი (დადებითი)დასკვნა
შპს " ლუქს ოილი "-ს (ს/ნ 426522523) ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე

ფინანსურ-სამეურნეო აღრიცხვა 2021 წელს არა არსებითად მცდარია-შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითია, მაგრამ ყოვლისმომცველი არ არის.

აუდიტის მაშტაბების შეზღუდვა არსებითია, მაგრამ ყოვლისმომცველი არ არის.

მე, შპს „აუდიტ-ექსპერტი"-ს აუდიტორმა (სერტიფიკატი ზ 6 №084 გაცემული 2011 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ, რეგისტრირებული აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-346394, ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-883643 ჩავატარე **შპს "ლუქს ოილი "-ს დირექტორის 2022 წ 10.01. მოთხოვნის** საფუძველზე მისი **2021** წლის წლიური საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შემოწმება ფინანსურ ანგარიშებზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესახებ და გავცეთ დასკვნა...

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული აღრიცხვა ანგარიშგება რაიმე უზუსტობას და საჭიროებს თუ არა აღნიშნული საკითხების დაზუსტებას.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებებს. აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინფორმაციაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა, (პირველადი დოკუმენტები და ბუღალტრული რეგისტრები ინახება დამკვეთთან). ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი აღრიცხვა ანგარიშგების სიზუსტეზე.

ორგანიზაცია რეგისტრირებულია ერთი პირის იურიდიულ პირად (შპს) **16/01/2014** ,საგადასახადო კოდი **426522523**. მისამართი **საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფელი ვაზიანი.** ორგანიზაცია აწარმოებს ნავთობის იმპორტს და რეალიზაციას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულობები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი (დადებითი) მოსაზრების საფუძვლებია:

1. ორგანიზაციაში სრულყოფილად არის წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა; აუდიტორულ დასკვნაში უნდა აღნიშნოს, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში მოკვლეული მასალა იძლევა საკმაო საფუძველს სწორი დასკვნის გასაკეთებლად.
_ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კეთილსინდისიერად, უტყუარ ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით;

_ ფინანსური ანგარიშგება წარმოებულია ბუღალტრული აღრიცხვის ბაზაზე, სათანადო პროცედურათა თანმიმდევრული გამოყენებით და დადგენილი პრინციპების სრული დაცვით, რამაც განაპირობა ფინანსური ინფორმაციის დანართებისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა დოკუმენტებში სრული ასახვა;

_ გადასახადების გაანგარიშებები შედგენილია საწესდებო მოთხოვნებისა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, დროულად არის მოხდენილი ანგარიშსწორება ბიუჯეტთან;
_ შიდა კონტროლი საიმედოდ ადასტურებს სამეურნეო ოპერაციების ეფექტურობას და მიზანშეწონილობას;
_ ფინანსური ანგარიშგების მონაცემები არ ეწინააღმდეგება აუდიტორისათვის ცნობილ მონაცემებს სამეურნეო სუბიექტის შესახებ;

- ორგანიზაციაში მომზადებული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება , როგორც კანონმდებლობას, აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებას.

თუმცაღა აქვე გვსურს ავღნიშნოთ, რომ აუდიტორი არ ესწრებოდა როგორც სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას აგრეთვე სხვა სამეურნეო ოპერაციების შესრულებას. აუდიტორის მიერ დამკვეთის სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის შემოწმება მოხერხდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული რეგისტრებისა და პირველადი დოკუმენტების ასევე შემოსავლების სამსახურის ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

პირობითი (დადებითი) მოსაზრება

ჩვენის აზრით პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენით გამოწვეული კორექტირებების გარდა თუ კი ამგვარი კორექტირებები განხორციელდება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მგომარეობას 2021წ 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

დასკვნა შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი გადაეცა დამკვეთს, ერთი შემსრულებელს.

Ш.პ.ს. "აუდიტ-ექსპერტი"ს
აუდიტორი

ეველინა კოპტონაშვილი

18.01.2022 წ.

ფაქტიური მისამართი: ქ რუსთავი ; რუსთაველის 28.